



**სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა:
პროგრესი და საკვანძო გამოწვევები**

2024

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრამა და საკანონო გამოწვევები

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024

რედაქტორი: ლევან ავალიშვილი



USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

სარჩევი

შესავალი	4
ძირითადი მიზნები	6
რეკომენდაციები	8
მეთოდოლოგია	8
1. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგება	10
1.1. 2015 წლის შემდგომ მკვეთრად გაუარესებული მდგომარეობა და საპასუხო სტრატეგიული საკონსტიტუციო სამართალწარმოება	10
1.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მისი აღსრულების გაჭიანურება	12
1.3. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა - ევროინტეგრაციის დღის წესრიგის ნაწილი	14
1.4. 2023 წელს პარლამენტის მიერ შემუშავებული ცვლილებები, ევროკომისიისა და ვენეციის კომისიის თანმდევი შეფასებები	15
2. სასამართლო აქტების სჯარო ინფორმაციის სახით მიღება	19
2.1. პირველადი მოთხოვნების გაგზავნა და მათი შინაარსობრივი მიმოხილვა	20
2.2. პირველადი მოთხოვნის შედეგები - საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე არსებული მდგომარეობა	27
2.3. განმეორებითი მოთხოვნები საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდგომ და საბოლოო შედეგები	28
3. სასამართლო აქტების პროექტიული გამოქვეყნების ნორმატიული მოწესრიგება და არსებული პრაქტიკა	30
3.1. 2024 წლის პირველ იანვრამდე არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტიული გამოქვეყნების წესი და პრაქტიკა	30
3.1.1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მახეგუდიხები კანონქვემდებარე აქტები ..	32
3.1.2. IDFI-ს ადმინისტრაციული დავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ	34
3.2. პროექტიული გამოქვეყნების ახალი წესი და პრაქტიკაში მისი აღსრულებლობა	34
4. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო და პრაქტიკული საკანონმდებლო მოწესრიგების შემაჯავებელი სამართლებრივი შეფასება	36
დასკვნა	40

სასამართლო გადაწყვეტილებებზე ფართო საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, როგორც ინფორმაციის თავისუფლების, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების თვალსაზრისით.¹ ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს მართლმსაჯულების გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას² და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობას.³

2015 წლიდან, საქართველოში, ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.⁴ პრაქტიკის სიღრმისეული შესწავლის შედეგად,⁵ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.⁶ მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა IDFI-სა და მედიის განვითარების ფონდის კონსტიტუციური სარჩელები,⁷ პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება დაუსაბუთებლად გაჭიანურდა.⁸ IDFI-ს სტრატეგიული სამართალწარმოების მიზანს წარმოადგენდა, სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მომეტებული კონსტიტუციური ინტერესის აღიარება და ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით ხელმისაწვდომობაზე ხელოვნური დაბრკოლებების მოხსნა. ეს მიზნები სრულად იქნა მიღწეული. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, რომ სასამართლოს აქტი არის იმგვარი საჯარო ინფორმაცია, რომლის

¹ ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანულ კანონთან დაკავშირებით წინა ოთხი დასკვნის შემდგომი დასკვნა, 2023 წლის 14 მარტი, პარ. 47, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/fkuyE>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

² იქვე.

³ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, 2021, გვ.1, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/ulKMQ>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

⁴ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/wjPU8>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

⁵ იქვე.

⁶ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა, 2016, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/gvJS7>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

⁷ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა - საკონსტიტუციო სასამართლომ IDFI-ის სარჩელი დააკმაყოფილა, 2019, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/agFS9>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

⁸ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები კვლავ ხელმისაწვდომი გახდება: პრობლემისა და მათი გადაწყვეტის ქრონოლოგიის მიმოხილვა, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/bQZ34>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

მიმართ არსებობს მომეტებული/განსაკუთრებული საჯარო ინტერესი. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა რომ ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული აქტის ხელმისაწვდომობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით, მხოლოდ განსაკუთრებულ/საგამონაკლისო შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს.

მოგვიანებით, ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი გაითვალისწინა 19 აპრილის ე. წ. “მარლ მიშელის შეთანხმებამ,”⁹ შემდგომ კი, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა ევროკომისიის მიერ 2022 წლის 17 ივნისს საქართველოსთვის განსაზღვრული პრიორიტეტების აღსრულების ერთ-ერთ ელემენტად განისაზღვრა.¹⁰

USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, IDFI-ს წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოებისა და მრავალწლიანი ადვოკატირების შედეგად, 2023 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ნორმატიულ დონეზე არსებითად გაუმჯობესდა ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხი და ცვლილებების ამოქმედების თარიღად 2024 წლის 01 იანვარი განისაზღვრა.¹¹

მიუხედავად არსებითად პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა, ერთი მხრივ საკანონმდებლო ჩარხო კვლავაც საჭიროებს გაუმჯობესებას და მეორე მხრივ, პრაქტიკაში უკვე მიღებული ცვლილებების აღსრულების თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობის სისტემური გამოწვევები ვლინდება.

წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს იმ მოვლენების ქრონოლოგია, რომელიც წინ უძღოდა 2023 წლის ივნისში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, შეაფასოს არსებული ნორმატიული ჩარხო და განიხილოს ის სისტემური გამოწვევები, რომლებიც ვლინდება პრაქტიკაში საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების თვალსაზრისით.

ანგარიში ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველი თავი ეთმობა იმ მოვლენების აღწერასა და შეფასებას, რომლებიც განვითარდა 2015 წლიდან 2024 წლის 01 იანვრამდე; მეორე და მესამე თავები კი ეთმობა 2024 წლის 01 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში აღსრულების შედეგების მიმოხილ-

⁹ სამომავლო გზა საქართველოსთვის, 2021, გვ. 5, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/cMQ04>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

¹⁰ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები კვლავ ხელმისაწვდომი გახდება: პრობლემისა და მათი გადაწყვეტის ქრონოლოგიის მიმოხილვა, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/bQZ34>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

¹¹ იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 13 ივნისი, 2023.

ვასა და ანალიზს. კერძოდ, მეორე თავი ეთმობა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით საერთო სასამართლოებიდან ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების მიღების თვალსაზრისით გამოვლენილი მიგნებებისა და გამონწვევების ანალიზს, ხოლო მესამე თავი კი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების გამოქვეყნების კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასებას. რაც შეეხება მეოთხე თავს, ის მოიცავს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო და პრაქტიკული საკვანძო გამონწვევების შემაჯამებელ სამართლებრივ შეფასებას.

ძირითადი მიგნებები

- ▶ 2024 წლის 01 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო მონწერიგება სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის უზრუნველყოფის თვალსაზრისით გაუმჯობესებულ სტანდარტს ითვალისწინებს;
- ▶ საკანონმდებლო დონეზე, საკვანძო გამონწვევად რჩება სასამართლო აქტებზე დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი (როგორც საჯარო ინფორმაციის სახით მიღების, ისე პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისით);
- ▶ საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების, არამედ ზოგადად სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ვალდებულება;
- ▶ 2024 წლამდე მოქმედი რეგულირებით სასამართლოს გადაწყვეტილებების ვებგვერდზე განთავსება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გაგზავნიდან 1 თვის ვადაში უნდა მომხდარიყო, 2024 წლის 01 იანვრიდან სასამართლოს აქტი პროაქტიულად გამოქვეყნდება, მხოლოდ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ;
- ▶ 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, საერთო სასამართლოები არ აღასრულებენ 2024 წლის 01 იანვრიდან ძალაში შესულ საკანონმდებლო ცვლილებებს (საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან 2 თვის თავზე, სასამართლო აქტების რეალური ხელმისაწვდომობა კვლავ სისტემურ გამონწვევად რჩება);

- ▶ მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები 2023 წლის 13 ივნისს იქნა მიღებული და ძალაში შესვლის თარიღად 2024 წლის 01 იანვარი განისაზღვრა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებს არ გადაუდგამთ ქმედითი ნაბიჯები, კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველსაყოფად;
- ▶ თუკი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე IDFI-ს 36 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან (რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა ტიპის სასამართლო აქტებს) მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა, ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომ უკვე საქართველოში მოქმედმა ყველა სასამართლომ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები - ჯამში 36 მოთხოვნა;
- ▶ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტიულ გამოქვეყნებას აწესრიგებს, საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს;
- ▶ ახალი რეგულირების ამოქმედების მიუხედავად, ვებგვერდზე (ecd.court.ge) სასამართლო აქტების გამოქვეყნება არ განახლებულა;
- ▶ საერთო სასამართლოების სისტემიდან მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს საკუთარი გადაწყვეტილებების დეპერსონალიზებული ტექსტების პროაქტიულ ხელმისაწვდომობას მისივე ელექტრონულ პლატფორმაზე.

ჩეკოქონტროლი

- ➔ საქართველოს პარლამენტმა, საკანონმდებლო ცვლილებებით, უნდა უზრუნველყოს სასამართლო აქტების დროული ხელმისაწვდომობა, როგორც საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის, ისე მათი პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისით. სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს დამოკიდებული შესაბამის საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე;
- ➔ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს/შეცვალოს სასამართლოს აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების წესი;
- ➔ საერთო სასამართლოებმა უარი უნდა თქვან კონსტიტუციის და ორგანული კანონის მოთხოვნების სისტემურ დარღვევაზე და დაიწყონ სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა;
- ➔ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა განაახლოს სასამართლო აქტების გამოქვეყნება პლატფორმაზე ecd.court.ge. პლატფორმაზე უნდა განთავსდეს 2020 წლის პირველი მაისის შემდგომ მიღებული სასამართლო აქტებიც.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშზე მუშაობისას IDFI-მ ინფორმაციის მოძიების შემდეგი მეთოდები და წყაროები გამოიყენა:

- 📄 კანონმდებლობის ანალიზი - ანგარიშში გაანალიზებულია სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით 2015 წლიდან 2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით არსებული ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო და ამ პერიოდში შემუშავების ეტაპზე მყოფი კანონპროექტები;
- 📄 კანონქვემდებარე აქტების ანალიზი - სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკაში გამოქვეყნების საკითხის შეფასების მიზნით, ანგარიშში, მათ შორის, დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 7 მარტის ბრძანების ანალიზს;



საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი - ანგარიშით გათვალისწინებული შეფასებები, მათ შორის, ეყრდნობა ვენეციის კომისიისა და ევროკომისიის მიერ საქართველოსთან მიმართებით მომზადებულ დასკვნებსა და შეფასებებს;



საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და ანალიზი - პროექტის ფარგლებში IDFI-ს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით მიღების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება, რაც, მათ შორის, გულისხმობს პრაქტიკულ დონეზე საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების მიღების ეფექტიანობისა და საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკული შედეგის შესწავლას. ამ მიზნით, პროექტის გუნდმა შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც გახდა სასამართლო აქტების პრაქტიკული ხელმისაწვდომობის შეფასების საფუძველი. სახელდობრ, მეთოდოლოგიამ გაითვალისწინა საჯარო ინფორმაციის განცხადებების გაგზავნა საქართველოს ყველა მოქმედ სასამართლოში (სამივე ინსტანციაში) ჯერ საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე, ხოლო შემდგომ - განმეორებითი მოთხოვნებით - საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სტანდარტული ფორმები შემუშავდა იმგვარად, რომ იძლეოდა სხვადასხვა თვალსაზრისით და სხვადასხვა კრიტერიუმისა თუ შინაარსობრივი კატეგორიის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო ინფორმაციის სახით მიღების შესაძლებლობის შეფასებას;



www.ecd.court.ge-ზე განთავსებული გადაწყვეტილების საძიებო სისტემის მონიტორინგი - ანგარიშის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პრაქტიკაში, სასამართლო აქტების გამოქვეყნების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ წყაროს ეს ვებ. გვერდი წარმოადგენდა;



სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით IDFI-ს წინარე ანგარიშები და შეფასებები - სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხზე IDFI-ს 2015 წლიდან 2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით არაერთი ანგარიში და შეფასება აქვს მომზადებული და გამოქვეყნებული, მათ შორის, IDFI-სა და MDF-ის კონსტიტუციურ სარჩელებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების შეფასების თვალსაზრისით. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სწორედ ეს დოკუმენტები და მათში ასახული შეფასებები წარმოადგენდა.

1. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგება

კანონმდებლობის დონეზე, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტანდარტის გაუმჯობესებისთვის საქართველომ გრძელი და ხანგრძლივი გზა გაიარა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებას, მეორე მხრივ კი, ამ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის გათვალისწინებას საქართველოს ევროინტეგრაციის დღის წესრიგში.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არსებითად გაუმჯობესებულია, კვლავაც არსებობს მისი დახვეწის საჭიროება.

წინამდებარე თავის მიმოიხილავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც გადაიდგა გაუმჯობესებული საკანონმდებლო მოწესრიგების უზრუნველსაყოფად. ამასთან, ყურადღებას გაამახვილებს იმ ასპექტებზე, რომლებიც, მათ შორის, ევროკომისიისა და ვენეციის კომისიის დასკვნების თანახმად, კვლავაც საჭიროებს დახვეწას.

1.1. 2015 წლის შექმნილი მკვეთრი გეგმითი გეგმობა და საკანონმდებლო სტრატეგიული საკონსტიტუციო სასამართლო რეორგანიზაცია

სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა მკვეთრად გაუარესდა 2015 წლის ოქტომბრიდან და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მითითებით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის პრაქტიკა დამკვიდრდა.¹²

ჯერ კიდევ 2016 წელს IDFI-მ სიღრმისეულად შეისწავლა იმდროინდელი საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა, რის საფუძველზეც არაერთი სისტემური პრობლემა გამოვლინდა.

კერძოდ, 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ საკანონმდებლო ჩარჩო სასამართლოს გადაწყვეტილებების

¹² იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/wjPU8>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

ხელმისაწვდომობას განიხილავდა როგორც ორდინალურ საჯარო ინფორმაციას და არ ითვალისწინებდა მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და მის მიმართ ნდობის ლეგიტიმურ ინტერესებს.¹³ ამასთან, კანონმდებლობა კრძალავდა პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლო გადაწყვეტილების გაცემას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გადაწყვეტილება საჯარო სხდომის შედეგად იყო მიღებული.¹⁴ იმ დროს არსებულ სამართლებრივ წესრიგში, უპირობო უპირატესობა ენიჭებოდა პერსონალური მონაცემების დაცვას.¹⁵

პრაქტიკაში, აქტების ხელმისაწვდომობის ასპექტების კვლევამ, მათ შორის, გამოავლინა, რომ საერთო სასამართლოები ფართოდ განმარტავდნენ პერსონალური მონაცემის ცნებას და არ ითვალისწინებდნენ ამა თუ იმ საქმის მიმართ არსებულ განსაკუთრებით მაღალ საჯარო ინტერესს.¹⁶ აღნიშნული კი, განაპირობებდა ბალანსის დარღვევას პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის.¹⁷ ამასთან, სასამართლოები უარს ამბობდნენ დეპერსონალიზებული გადაწყვეტილებების გაცემაზე, საკმარისი რესურსის არარსებობის ან/და დეპერსონალიზაციის შეუძლებლობის გამო.¹⁸

IDFI-მ საკითხის სიღრმისეული შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის იმჟამინდელი რეგულირება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.¹⁹ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო სხდომები არის საჯარო და შეიძლება დაიხუროს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. კონსტიტუციის ამ დათქმის საპირისპიროდ, კანონმდებლობა კრძალავდა პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლო გადაწყვეტილების გაცემას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე იყო მიღებული.²⁰ აღნიშნულის გათვალისწინებით, IDFI-მ 2016 წლის 22 ნოემბერს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს²¹ და სარჩელი შემდეგ გარემოებებს დააფუძნა:

¹³ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, 2016, გვ.4, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/krKT7>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.


¹⁷ იქვე, გვ.5.


¹⁸ იქვე. გვ. 14-18.


¹⁹ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა, 2016, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/gvJ57>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

 სადავო რეგულირების თანახმად, პერსონალური მონაცემების შემცველ სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჯაროება დაუშვებელი იყო, თუ განმცხადებელი პირდაპირ ან ირიბად შეძლებდა, მიეღო ინფორმაცია იმ პირებზე, ვის მიმართაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი;

 სადავო ნორმების თანახმად, გადაწყვეტილების გამჟღავნება დაუშვებელი იყო მაშინაც, თუ პერსონალური მონაცემები უკავშირდებოდა ყოფილ/მოქმედ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს.²² ამასთან, სადავო ნორმები არც იმ შემთხვევებში ითვალისწინებდა პერსონალური მონაცემის შემცველი გადაწყვეტილების გასაჯაროების შესაძლებლობას, როდესაც საქმის მიმართ არსებობდა მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი;²³

 იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება შეიცავს პერსონალურ მონაცემს, სადავო ნორმები ადგენდნენ სასამართლო გადაწყვეტილებების გაუცემლობის ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, დაინტერესებულ პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეებზე.²⁴

IDFI-ს კონსტიტუციური სარჩელი გაერთიანდა, იმავე საკითხთან დაკავშირებით, ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელთან.²⁵

1.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მისი აღსკულების გაჭიანუება

2019 წლის 7 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ (IDFI) და ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ კონსტიტუციური სარჩელები, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხზე.²⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავოდ გამხდარი საკანონმდებლო მონწესრიგება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ინფორმაციის თავისუფლებას და არაკონსტიტუციურად ცნო იგი.²⁷

²² იქვე.

²³ იქვე.

²⁴ იქვე.

²⁵ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა - საკონსტიტუციო სასამართლომ IDFI-ის სარჩელი დააკმაყოფილა, 2019, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/agFS9>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს აქტები განეკუთვნება საჯარო დაწესებულებაში არსებულ იმ ტიპის ინფორმაციას, რომელზე ხელმისაწვდომობის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი.²⁸ სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის, მისდამი საზოგადოების ნდობის, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციური ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.²⁹

ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საგამონაკლისო შემთხვევებში, გადაწყვეტილებაში ასახული ინფორმაციის სენსიტიურობის გათვალისწინებით, პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად, შესაძლოა, საჭირო გახდეს პირის პერსონალური მონაცემების დაფარვა, თუმცა ამას არ უნდა ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი.³⁰ სასამართლოს აქტის ღიაობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს რა გავლენას ახდენს პერსონალური მონაცემების გამჟღავნება პირადი ცხოვრების უფლებაზე და გადაწონის თუ არა იგი სასამართლო აქტის ხელმისაწვდომობაზე საზოგადოების მომეტებულ ინტერესს.³¹

სადავო ნორმები ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2020 წლის პირველი მაისიდან, რითაც საქართველოს პარლამენტს მიეცა ვადა კანონმდებლობა კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოენსრიგებინა.³² მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს თითქმის ერთი წელი მიეცა კანონმდებლობის განახლებისთვის, არაერთი მონოდედების მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება დაუსაბუთებლად გაჭიანურდა.³³ ამასთან, პრაქტიკაში კიდევ უფრო მეტად გაუარესდა სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობა.³⁴

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები კვლავ ხელმისაწვდომი გახდება: პრობლემისა და მათი გადაწყვეტის ქრონოლოგიის მიმოხილვა, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/bQZ34>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

³⁴ იქვე.

1.3. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა - ეპროინფორმაციის დღის წესრიგის ნაწილი

2021 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, 19 აპრილის, ე. წ. “შარლ მიშელის შეთანხმებით” იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, ამბიციური სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ ელემენტად განისაზღვრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2019 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებელი კანონმდებლობის მიღება, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად წესების დადგენის გზით.³⁵

2021 წლის ივნისში, IDFI-მ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა.³⁶ სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების იმპლემენტაციის საბაზისო მოდელი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი უნდა შეემუშავებინა.³⁷

2021 წლის პირველ ივლისს დარეგისტრირდა საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც IDFI-ს შეფასებით სრულად არ აღასრულებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.³⁸ ამასთანავე, კანონპროექტი ქმნიდა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ბარიერებს სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯარო ინფორმაციის სახით მისაღებად.³⁹ კანონპროექტის არსებული ფორმით მიღება ვერ უზრუნველყოფდა იმ ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, რომელთა დასაცავადაც გააუქმა საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ორიენტირებული ნორმები.⁴⁰ ამავდროულად, კანონპროექტის უცვლელად მიღება წარმოშობდა როგორც სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის, ისე პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების დარღვევის საფრთხეს და სასამართლო ხელისუფლების გადატვირთვის რეალურ რისკს.⁴¹ IDFI-მ საკუთარი წერილობითი

³⁵ სამომავლო გზა საქართველოსთვის, 2021, გვ. 5, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/cMQ04>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

³⁶ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამუშაო შეხვედრა საერთო სასამართლოს აქტების საჯაროობის შესახებ, 2021, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/cktG5>, წვდომის თარიღი: 22.02.2024.

³⁷ იქვე.

³⁸ იხ. IDFI „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებს აფასებს, 2021, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/dgkxn>, წვდომის თარიღი: 23.02.2024.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ იქვე.

შენიშვნები საქართველოს პარლამენტს ორ ალტერნატიულ კანონპროექტთან ერთად წარუდგინა.⁴²

2022 წლის 3 მარტს, საქართველომ ევროკავშირში განვერტიანების განაცხადი წარადგინა და 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა საქართველოს ევროკავშირში განვერტიანების განაცხადთან დაკავშირებით.⁴³ სხვა საკითხებთან ერთად, ევროკომისიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების შესაბამისად, კვლავაც უზრუნველსაყოფია.⁴⁴ ამ დოკუმენტის საფუძველზე, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა გახდა ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული 12 პრიორიტეტის აღსრულების ნაწილი.⁴⁵

1.4. 2023 წელს პარლამენტის მიერ შემუშავებული სვლილუბები, ეკოკომისიისა და ვენეციის კომისიის თანხლები შეფასებები

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, 2022 წლის 9 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტში სასამართლო სისტემაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დასრულების შემდგომ, დააინიცირა კანონპროექტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მონესრიგებას.⁴⁶ ეს კანონპროექტი 2021 წლის პირველ ივლისს დარეგისტრირებული კანონპროექტის იდენტური იყო და ფაქტობრივად იმეორებდა IDFI-ს მიერ გავრეტიკვებულ რთულ და დროში გახანგრძლივებულ მოდელს.⁴⁷

2022 წლის 22 ნოემბერს, კანონპროექტი შესათასებლად ვენეციის კომისიასთან გაიგზავნა.⁴⁸ 2023 წლის მარტის დასკვნაში, ვენეციის კომისიამ მიუთითა, რომ კანონპროექტი ითვალისწინებდა დეტალურ და საკმაოდ კომპლექსურ რეგულაციას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებებზე წვდომას რთულ და გაჭიანურებულ პროცესად

⁴² იქვე.

⁴³ იხ. ევროკომისიის დასკვნა ევროკავშირში საქართველოს განვერტიანების განაცხადთან დაკავშირებით, 2022, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/BHJ49>, წვდომის თარიღი: 23.02.2024.

⁴⁴ იქვე, გვ. 7.

⁴⁵ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები კვლავ ხელმისაწვდომი გახდება: პრობლემისა და მათი გადაწყვეტის ქრონოლოგიის მიმოხილვა, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/bQZ34>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანულ კანონთან დაკავშირებით წინა ოთხი დასკვნის შემდგომი დასკვნა, 2023 წლის 14 მარტი, პარ. 1, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/fkuyE>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

აქცევდა.⁴⁹ ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ შესაძლებელი იყო კანონმდებლობის დონეზე საკითხის უფრო პრაქტიკული გადაწყვეტა, სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების ხელშესაწყობად.⁵⁰ ამავდროულად, ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა როგორც წინარე, ასევე სამომავლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროებას.⁵¹

მისასაღმებელია, რომ 2023 წლის 11 მაისისა⁵² და 15 მაისის⁵³ საკომიტეტო განხილვების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ვენეციის კომისიის და IDFI-ს შენიშვნები, უარი თქვა განსახილველ ცვლილებებზე და წარმოადგინა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის სრულიად ახალი, ბევრად გამარტივებული მოდელი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით 2023 წლის 13 ივნისს მიიღო.⁵⁴ ცვლილებების ამოქმედების ვადად კი, 2024 წლის 01 იანვარი განისაზღვრა.⁵⁵

მიღებული ცვლილებებით, უარი ითქვა კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით გათვალისწინებულ რთულ მოდელზე, რომლის მიხედვითაც, აქტების ხელმისაწვდომობის საკითხი სრულად გადიოდა საჯარო ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სფეროდან, უგულებელყოფილი იყო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის მომეტებული ინტერესი, იზღუდებოდა აქტის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ასევე, იქმნებოდა სასამართლოს გადატვირთვის და საქმეთა დროში განვლვის რეალური საფრთხე, რამდენადაც მოსამართლეს უწევდა თითოეულ საქმეზე მიღებული აქტების გასაჯაროებაზე მსჯელობა.⁵⁶

ამავდროულად, კანონმდებლობის დონეზე გამარტივდა სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯარო ინფორმაციის სახით მიღება, რამდენადაც სასამართლოს გადაწყვეტილების საჯარო ინფორმაციის გაცემა მოხდება “საერთო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საკითხის გადაწყვეტაში არ ჩაერთვება მოსამართლე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა აღარ იქნება

⁴⁹ იქვე, პარ.48.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² იხ. 2023 წლის 11 მაისის სხდომის ვიდეო ჩანაწერი, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/fqzY1>, წვდომის თარიღი: 23.02.2024.

⁵³ იხ. 2023 წლის 15 მაისის სხდომის ვიდეო ჩანაწერი, ხელმისაწვდომია <https://shorturl.at/krt18>, წვდომის თარიღი: 23.02.2024.

⁵⁴ იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 13 ივნისი, 2023.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024 წლიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები კვლავ ხელმისაწვდომი გახდება: პრობლემისა და მათი გადაწყვეტის ქრონოლოგიის მიმოხილვა, 2023, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/bQZ34>, წვდომის თარიღი: 20.02.2024.

გამოყენებული უფლების შეზღუდვის ხელოვნურ საფუძვლად.⁵⁷ კანონმდებლობით დამკვიდრდა სასამართლოს აქტების ღიაობის ზოგადი წესი, დადგინდა არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებების, არამედ ზოგადად სასამართლო აქტების პროექტულად გამოქვეყნების ვალდებულება.⁵⁸

თუმცა, მიუხედავად მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებისა, გამოწვევად დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და სხვა აქტებზე დროული წვდომის მოპოვება. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი გახდება მხოლოდ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ⁵⁹ – როცა ყველა შესაძლო ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა ამოიწურება და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება.

2023 წლის 23 ივნისს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთმა კომიტეტმა ვენეციის კომისიას 2023 წლის 13 ივნისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შეფასების მიზნით მიმართა.⁶⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეფასების მომზადების ფარგლებში, ვენეციის კომისიას 2023 წლის 22 სექტემბრის წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და წარუდგინა ახალი ცვლილებების კანონპროექტი.⁶¹ შესაბამისად, ვენეციის კომისიის დასკვნით შეფასდა როგორც მიღებული და ამჟამად უკვე ამოქმედებული ცვლილებები, ასევე ახალი ცვლილებების პროექტი.

2023 წლის 9 ოქტომბრის დასკვნაში, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ წინასწარი შეფასებით ივნისში მიღებული ცვლილებები პასუხობს კომისიის წინარე რეკომენდაციას, ვინაიდან ადგენს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის უფრო მარტივ მეთოდს.⁶² ამავედროულად, კომისია მიესალმა ე. წ. სექტემბრის ცვლილებების პროექტს, ვინაიდან ის ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას მათი მიღების მომენტიდან და არა კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ.⁶³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. სექტემბრის ცვლილებები კანონმდებლობაში 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით არ ასახულა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემდგომი დაკვირვება

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 13 ივნისი, 2023.

⁶⁰ ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანულ კანონთან დაკავშირებით წინა ოთხი დასკვნების შემდგომი დასკვნა, 2023 წლის 9 ოქტომბერი, პარ. 1, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/yBST9>, წვდომის თარიღი: 23.02.2024.

⁶¹ იქვე.

⁶² იქვე, პარ. 46.

⁶³ იქვე.

აჩვენებს თუ რამდენად ეფექტიანი იქნება აღნიშნული ცვლილებები და იქნება თუ არა სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობა თავისუფალი პრაქტიკული ბარიერებისგან.⁶⁴

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის შესახებ ახალი საკანონმდებლო რეგულაცია შეფასდა ასევე საქართველოს შესახებ ევროკომისიის მიერ 2023 წლის 08 ნოემბერს გამოქვეყნებული ანგარიშით. კერძოდ, მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მსჯელობისას, ევროკომისიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ როგორც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით, ასევე გამოქვეყნების შემთხვევაში, გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მას შემდეგ რაც დასრულდება საქმის განხილვა, რასაც, შეიძლება, წლები დაჭირდეს.⁶⁵ ევროკომისია აღნიშნავს, რომ ეს პროცესი კვლავაც საჭიროებს ევროპულ სტანდარტებთან და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანას.⁶⁶

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ ევროკომისიის 2023 წლის 08 ნოემბრის ანგარიში საქართველოს შესახებ, გვ. 24, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/oLSX6>, ნვდომის თარიღი: 23.02.2024.

⁶⁶ იქვე.

2. სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით მიწვება

როგორც უკვე აღინიშნა, 2023 წლის 13 ივნისის ცვლილებებით⁶⁷ ახლებურად დარეგულირდა სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის ფორმით ხელმისაწვდომობა. ის ნორმატიული მოწესრიგება, რომელიც წლების განმავლობაში გამორიცხავდა ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას, შეიცვალა და ახალი კანონით სასამართლო აქტების საჯაროობა ზოგად წესად განისაზღვრა.

სახელდობრ, “საერთო სასამართლოების” შესახებ კანონის მე-13 მუხლის 3¹ პუნქტის ახალი რედაქციის მიხედვით “სასამართლოს მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის სრული ტექსტი შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ხდება საჯარო ინფორმაცია და გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.” სხვაგვარად, ახალი მოწესრიგებით სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ზოგადი წესით ითვლება საჯარო ინფორმაციად და აღარ არსებობს საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის დამაბრკოლებელი ნორმატიული გარემოებები. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ახალი სტანდარტი ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან.

IDFI-ს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით მიღების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასება, რაც, მათ შორის, გულისხმობს პრაქტიკულ დონეზე საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების მიღების ეფექტიანობისა და საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკული შედეგის შესწავლას.

ამ მიზნით, IDFI-მ შეიმუშავა კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც გახდა სასამართლო აქტების პრაქტიკული ხელმისაწვდომობის შეფასების საფუძველი. სახელდობრ, მეთოდოლოგიამ გაითვალისწინა საჯარო ინფორმაციის განცხადებების გაგზავნა საქართველოს ყველა მოქმედ სასამართლოში (სამივე ინსტანციაში) ჯერ საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე, ხოლო შემდგომ - განმეორებითი მოთხოვნებით - საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სტანდარტული ფორმები შემუშავდა იმგვარად, რომ იძლე-

⁶⁷ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (13.06.2023). ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/brR48>, წდომის თარიღი: 20.02.2024.

ოდა სხვადასხვა თვალსაზრისით და სხვადასხვა კრიტერიუმისა თუ შინაარსობრივი კატეგორიის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო ინფორმაციის სახით მიღების შესაძლებლობის შეფასებას.

მეთოდოლოგიის თანახმად, პირველად ეტაპზე, ადრესატი სასამართლოებისგან მიღებული პასუხების მიხედვით, შეფასდებოდა საკანონმდებლო ცვლილებამდე საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების მიღების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობა, მათ შორის, მოწოდებული პასუხების შინაარსობრივი ამომწურავობა, გადაწყვეტილების სრული ტექსტის მოწოდების ინდიკატორი, საჯარო ინტერესის ტესტის გათვალისწინების საკითხი და სხვ.

მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით, მეთოდოლოგიამ გაითვალისწინა განმეორებითი მოთხოვნების გაგზავნა იმავე ადრესატ სასამართლოებში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სტანდარტული ფორმების მოდიფიცირება იმგვარად, რომ პროექტის გუნდს შესაძლებლობა ჰქონოდა დინამიკაში დაენახა საჯარო ინფორმაციის პრაქტიკული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტი.

აღნიშნული მეთოდოლოგიის შემუშავების შემდგომ, IDFI-მ უკვე უშუალოდ დაიწყო მისი აღსრულება 2023 წლის ოქტომბრიდან. წინამდებარე თავი მიმოიხილავს IDFI-ს მეთოდოლოგიის აღსრულების პროცესს და იმ ძირითად მიგნებებს, რაც გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამავდროულად, წინამდებარე თავის მიზანია შეაფასოს პრაქტიკულ დონეზე სასამართლო აქტების რეალური ხელმისაწვდომობის ხარისხი როგორც 2023 წლის 13 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე, ასევე მის შემდგომ, აჩვენოს რამდენად ექვემდებარება აღსრულებას ახალი ნორმატიული მოწესრიგება და გამოკვეთოს არსებული სისტემური გამოწვევები.

2.1. პირველი მოთხოვნების გაგზავნა და მათი შინაარსობრივი მიმოხილვა

პირველად ეტაპზე, IDFI-მ 2023 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს მოქმედ 29-ვე სასამართლოში (26 საქალაქო/რაიონული სასამართლო, 2 სააპელაციო და 1 უზენაესი სასამართლო) გააგზავნა საჯარო ინფორმაციის სტანდარტული მოთხოვნები ზოგადი შინაარსის სასამართლო აქტების/გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

აღნიშნული საჯარო ინფორმაციის განცხადებები ფორმულირებული იყო იმგვარად, რომ შეფასებულიყო სხვადასხვა შინაარსობრივი კრიტერიუმის მიხედვით სასამართლო აქტების მიღების შესაძლებლობა. საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში გაგზავნილი

მოთხოვნები შედგებოდა 39 პუნქტისგან, სააპელაციო სასამართლოებში - 25, ხოლო უზენაეს სასამართლოში - 14 პუნქტისგან.⁶⁸

თითოეული პუნქტის უკან იდგა გარკვეული ლოგიკა და შეფასების ინდიკატორი. აღნიშნული მოთხოვნების შინაარსობრივი კატეგორიზაცია და მათ მიერ შესაფასებელი შედეგი წარმოდგენილია ცხრილის სახით:

მოთხოვნების კატეგორია	ფორმულირებული მოთხოვნის გაგალითები	რეს პუნქტებს
სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება	სასამართლოს მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართლის საქმეზე;	<ul style="list-style-type: none"> - სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა შინაარსობრივი დაზუსტების გარეშე; - სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სრული ტექსტის მონოდების ინდიკატორი (პერსონალური მონაცემების დაფარვის გარეშე).
	სასამართლოს მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე;	
	სასამართლოს მიერ მიღებული ბოლო განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე.	
გადაწყვეტილებები დავის მხარეების მიხედვით	გადაწყვეტილება, სადაც მოსარჩელე ან მოპასუხე მხარე იყო საქართველოს სახალხო დამცველი;	<ul style="list-style-type: none"> - მხარის/მხარეების კატეგორიების მიხედვით სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით ისეთ დავებში, სადაც მხარედ გამოდის საჯარო დაწესებულება); - სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სრული ტექსტის მონოდების ინდიკატორი.
	გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საქმეზე, სადაც მოსარჩელეც და მოპასუხეც ადმინისტრაციული ორგანოა.	

⁶⁸ საქალაქო/რაიონულ, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში გაგზავნილი მოთხოვნების პუნქტებს შორის რაოდენობრივი სხვაობა განპირობებულია იმით, რომ ინსტანციების მიხედვით განსხვავდება სასამართლოს მიერ მისაღები პოტენციური გადაწყვეტილებების ტიპი.

მოთხოვნების კატეგორია	უორგანიზაციული მოთხოვნის მაგალითები	რას აუხსენებს
<p>გადაწყვეტილებები დავის შინაარსობრივი კრიტერიუმის/სამართლებრივი საკითხის მიხედვით</p>	<p>გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავაზე;</p>	<ul style="list-style-type: none"> - გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, როდესაც გამცხადებელი ამა თუ იმ ფორმით (იქნება ეს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის მითითება, გამოძიებაზე უფლებამოსილი ორგანოს მითითება, თუ სამართლებრივი პრობლემის სხვაგვარი იდენტიფიცირება) ახდენს გადაწყვეტილების ტიპის შინაარსობრივ კონკრეტიზაციას; - სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სრული ტექსტის მოწოდების ინდიკატორი.
	<p>გადაწყვეტილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ „წვრილმანი ხულიგნობის“ საქმეებზე;</p>	
	<p>განაჩენი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებზე;</p>	
	<p>გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.</p>	
<p>გადაწყვეტილება, რომლის საჯარო ინფორმაციის სახით მიღებაც შეიძლება პრობლემური იყოს</p>	<p>განაჩენი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეებზე;</p>	<ul style="list-style-type: none"> - გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა, რომლის სრული ტექსტის გაცემასაც პოტენციურად შეიძლება ხელს უშლიდეს კანონით დაცული სხვა ლეგიტიმური ინტერესი (მაგ. არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები, სასამართლო სხდომის დახურვის ლეგიტიმური ინტერესი); - სასამართლოს მიერ არაშემატყამებელი გადაწყვეტილების მოწოდების ინდიკატორი; - სასამართლოს მიერ საჯარო ინტერესის შეფასების ინდიკატორი.
	<p>გადაწყვეტილება სხდომის დახურვის თაობაზე.</p>	

მოთხოვნაის კატეგორია	ფორმულირებული მოთხოვნის მაგალითები	რას აუხსავს
<p>გადანწყვეტილება, რომელიც მიიღება სასამართლოს მიერ არაორდინალური/სპეციფიკური პროცედურის შედეგად</p>	<p>გამარტივებული სამართალწარმოებით მიღებული გადანწყვეტილება ადმინისტრაციული სამართლის დავებზე;</p>	<ul style="list-style-type: none"> - გადანწყვეტილების ხელმისაწვდომობა, როდესაც განმცხადებელი უთითებს მისი მიღების პროცედურულ თავისებურებას/სპეციფიკურობას; - სასამართლოს მიერ გადანწყვეტილების სრული ტექსტის მოწოდების ინდიკატორი.
	<p>ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;</p>	
	<p>განაჩენი მიღებული არსებითი განხილვის გარეშე (საპროცესო შეთანხმების საფუძველზე).</p>	
<p>გადანწყვეტილება, რომლის მიღების პროცესშიც გამოყენებულია სხვა გარე სამართლებრივი მექანიზმები</p>	<p>სასამართლოს მიერ მიღებული ბოლო გადანწყვეტილება/განაჩენი, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება;</p> <p>სასამართლოს მიერ მიღებული ბოლო გადანწყვეტილება/განაჩენი, სადაც სასამართლომ გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება;</p>	<ul style="list-style-type: none"> - იმ გადანწყვეტილებების ხელმისაწვდომობა, რომლის მიღებისასაც ადგილი ჰქონდა მართლმსაჯულების პროცესში გარე სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას, როგორებიცაა მაგალითად, სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ან მოსამართლის მიერ საკონსტიტუციო წარდგინების გამოყენება. აღნიშნული კრიტერიუმის შემოღება მოხდა ამ მექანიზმების მაღალი საჯარო მნიშვნელობის გამო.

მოთხოვნების კატეგორია	ფორმულირებული მოთხოვნის მაგალითები	რის აუხსავს
სასამართლო აქტი, რომელიც არ არის სასამართლოს შემაჯამებელი აქტი - გადანაცვტილება ან განაჩენი	<p>განჩინება ადვოკატის ღონისძიების გამოყენების შესახებ;</p> <p>განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;</p> <p>განჩინება იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ (ყადალა, თანამდებობიდან გადაყენება და სხვ.);</p> <p>გადანაცვტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ;</p> <p>დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ;</p>	<ul style="list-style-type: none"> - იმ სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება; - “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3¹ მუხლის გავრცელება სასამართლოს მიერ მიღებულ ყველა აქტზე, მათ შორის შუალედურ განჩინებებზე; - არაშემაჯამებელი სასამართლო აქტების სრული ტექსტების ხელმისაწვდომობის ინდიკატორი.
გადანაცვტილება ისეთ საკითხზე, რომელიც არ ეხება დავის არსებით გადანაცვტას	<p>გადანაცვტილება სასჯელის გადავადების თაობაზე;</p> <p>გადანაცვტილება პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ;</p> <p>განჩინება გადანაცვტილების განმარტების შესახებ;</p>	<ul style="list-style-type: none"> - იმგვარი სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა, რომლებიც თავისი შინაარსით არ გულისხმობს დავის არსებით გადანაცვტას, თუმცა არის დასრულებული და არა შუალედური ბუნების.
სასამართლო შემაჯამებელი აქტები, რომლებიც არ არის “გადანაცვტილება”	<p>განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.</p>	<ul style="list-style-type: none"> - იმგვარი სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა, რომელიც არ არის შუალედური ბუნების, ასრულებს საქმის წარმოებას, მაგრამ არა “გადანაცვტილების” ფორმით; - ამ კრიტერიუმით ფასდებოდა “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3¹ მუხლის მიზნებისთვის “გადანაცვტილებების” გარდა სხვა ტიპის შემაჯამებელი აქტების ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული საჯარო ინფორმაციის განცხადებები, რომლებსაც პირობითად შეიძლება სტანდარტული მოთხოვნები ვუნდოთ, ერთი და იმავე შინაარსით გაიგზავნა ყველა სასამართლოში. სტანდარტულ მოთხოვნებით ფასდებოდა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა ზოგადი/საერთო შინაარსობრივი კრიტერიუმების მიხედვით.




გარდა ამისა, დამატებით **7 მოთხოვნა** გაიგზავნა საქართველოს უზენაეს, თბილისის სააპელაციო, ქუთაისის სააპელაციო, თბილისის საქალაქო, ბათუმის საქალაქო, ქუთაისის საქალაქო და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში მაღალი საჯარო ინტერესის მქონე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. ამ შემთხვევაში, მოთხოვნები ფორმულირებული იყო იმგვარად, რომ მიემართებოდა არა ზოგადი კრიტერიუმის მიხედვით გაერთიანებულ საქმეებს, არამედ სპეციფიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც თავისი საზოგადოებრივი ინტერესის თვალსაზრისით შეიძლება გამხდარიყო საჯარო ინფორმაციის გამომთხოვი მოქალაქის პოტენციური ინტერესის საგანი. ამგვარ მოთხოვნებს, პირობითად, შეიძლება, სპეციფიკური მოთხოვნები ვუნდოთ.

სპეციფიკური მოთხოვნების თითო მაგალითი სასამართლოების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

სასამართლოს დასახელება	გადაწყვეტილება
თბილისის საქალაქო სასამართლო	2021 წლის 5 ივლისს, ლგბტ თემის მხარდამჭერი „ღირსების მარშის“ წინააღმდეგო აქციაზე ჟურნალისტებზე ძალადობის გამო მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები;
თბილისის სააპელაციო სასამართლო	საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები გამამტყუნებელი განაჩენების ძალაში დატოვების თაობაზე;
საქართველოს უზენაესი სასამართლო	საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება;
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უარის ბათილად ცნობის საქმეზე;

სასამართლოს დასახელება	გადაწყვეტილება
ბათუმის საქალაქო სასამართლო	ბათუმის ყოფილი მერის, გიორგი ერმაკოვისა და ბათუმის მერიის ექვსი ყოფილი თანამშრომლის წინააღმდეგ, ე.წ. იაფი სახლის პროექტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	მოძრაობა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ აქტივისტების წინააღმდეგ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საქმეებზე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება;
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	„საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის ფილიალზე თავდასხმის გამო, ბადრი ესებუას წინააღმდეგ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

სტანდარტული და სპეციფიკური მოთხოვნების გაგზავნით პროექტის გუნდს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა შეეფასებინა პრაქტიკულ დონეზე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა როგორც ზოგადი შინაარსობრივი კრიტერიუმების მიხედვით, აგრეთვე კონკრეტული მაღალი ინტერესის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების თვალსაზრისით. მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომ გაგზავნილ მოთხოვნებში აისახებოდა ცვლილებები. პირველადი და განმეორებითი მოთხოვნების გაგზავნა შესაძლებლობას იძლეოდა შეფასებულიყო:

-  ცვლილებების ეფექტი სასამართლო აქტების სრული ტექსტის ხელმისაწვდომობაზე, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დამუშავების თვალსაზრისით არსებული დინამიკა;
-  სასამართლოს ყველა ტიპის აქტის, მათ შორის, შუალედური და არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების, ხელმისაწვდომობა;
-  “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3¹ პუნქტის ძველი რედაქციის “სასამართლოს გადაწყვეტილებისა” და ახალი რედაქციის “სასამართლო აქტის” ნორმატიული შინაარსების პრაქტიკული გამოყენება/განმარტება საერთო სასამართლოების მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნილი იყო მხოლოდ ის სასამართლო აქტები, რომლებიც მიღებული იქნა ღია სასამართლო სხდომის დროს. რადგანაც სტანდარტული მოთხოვნები აერთიანებდა საერთო სასამართლოების მიერ პოტენციურად მიღებული სასამართლო აქტების ფართო წრეს, თითოეული განცხადება შეიცავდა სპეციალური მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი სასამართლოს საერთოდ არ მიუღია რომელიმე პუნქტ(ებ)ით იდენტიფიცირებული აქტები, მოეწოდებინათ ინფორმაცია ამგვარი აქტების არ არსებობის შესახებ და ეს არ გამხდარიყო დაბრკოლება სხვა დანარჩენი პუნქტებით მოთხოვნილი აქტების მოწოდებასთან მიმართებით.

აგრეთვე, მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი მოცულობისა და მისი შეგროვება/დამუშავებისთვის საჭირო დროის თუ ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, თითოეული მოთხოვნა შეიცავდა დათქმას, რომ IDFI მზად იყო ინფორმაცია მიეღო შეთანხმებული პერიოდულობით, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის მაქსიმალური ვადის მიღმა პერიოდულობით.

სხვაგვარად, საჯარო ინფორმაციის განცხადების ფორმულირების ეტაპზე, პროექტის გუნდმა დააზღვია ის პრაქტიკული თუ სამართლებრივი რისკები, რაც პოტენციურად შეიძლება გამხდარიყო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი.

2.2. პირველი მოთხოვნის შედეგები - საკანონმდებლო სვლილებების ამოქვეყნებულ აკრედიტორული გეგმარეაქცია

2023 წლის 5 ოქტომბრის ყველა განცხადება, გარდა ერთისა დარჩა უპასუხოდ. მხოლოდ სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გასცა საჯარო ინფორმაცია. სახელდობრ, სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 2 ნოემბრის წერილით⁶⁹ IDFI-ს მიეწოდა სასამართლო აქტები, რომელთა შორისაც იყო როგორც შემაჯამებელი აქტები (გადაწყვეტილებები/განაჩენები), აგრეთვე სხვა ტიპის შუალედური/არაშემაჯამებელი აქტებიც (განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, დროებითი განჩინება აქტის გამოცემის შესახებ და სხვ.). წერილში აგრეთვე მოწოდებული იყო ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ IDFI-ს განცხადებაში იდენტიფიცირებული კონკრეტული ტიპის აქტები სასამართლოს არასდროს არ მიუღია (მაგალითად, განაჩენი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეებზე, განჩინება სასჯელის გადავადების თაობაზე და სხვ.).

⁶⁹ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 2 ნოემბრის წერილი N521 (დანართი 329 ფურცლად).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ მოწოდებული ყველა აქტი, მიუხედავად აქტის ბუნებისა, მონაწილე მხარეებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობისა, იყო პერსონალური მონაცემების დაფარვით. მათ შორის, დაფარული იყო როგორც ფიზიკური პირების, აგრეთვე იურიდიული პირების და, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქმეებზე), საჯარო დაწესებულების მაიდენტიფიკაცი-რებელი მონაცემებიც. პერსონალური მონაცემების დაფარვის საფუძვლად სასამართლო მიუთითებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლს და აღნიშნავდა, რომ ვინაიდან არ ჰქონდათ მხარეთა წერილობითი თანხმობა, სასამართლო აქტები გაიცა დაშტრიხული ფორმით.

რაც შეეხება შუალედურ პასუხებს (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული 10 დღიანი ვადის მოთხოვნის თაობაზე), მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლომ გამოაგზავნა წერილი, სადაც აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია განმცხადებელს მიეწოდებოდა კანონით დადგენილ, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. თუმცა, სასამართლოს შუალედური პასუხის მოწოდების შემდგომ, სასამართლოს აღარ გამოუგზავნია მოთ-ხოვნილი სასამართლო აქტები.

გარდა სიღნაღის რაიონული სასამართლოსი, სხვა არც ერთ სასამართლოს არ მოუ-წოდებია ინფორმაცია არც სტანდარტულ და არც სპეციფიკურ განცხადებებზე. მეტიც, ყველა მოთხოვნა დარჩა უპასუხოდ, სასამართლოებს არც წერილობითი ფორმით შეუტყობინებიათ, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. შესა-ბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე არსებული პრაქტიკა საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების გაცემის თვალსაზრისით იყო პრობლემური და პრაქტიკულად ვერ დაექვემდებარებოდა შინაარსობრივ შეფასებას. მხოლოდ სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგალითზე შეიძლება გაცემული ინფორმაციის ხარისხობრივი შეფასება და ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო ცვლი-ლების ეფექტის შეფასება.

2.3. განმეორებითი მოთხოვნები საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების უკუგომ და საბოლოო შედეგები

განმეორებითი მოთხოვნები IDFI-მ უკვე გააგზავნა საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომ. 2024 წლის 23 იანვარს პროექტის გუნდმა საჯარო ინფორ-მაციის განცხადებები, იგივე შინაარსითა და ფორმულირებით, განმეორებით გაუგზავნა 29-ვე სასამართლოს. მხოლოდ სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოთხოვნამ განიცადა შინაარსობრივი ცვლილება - პირველად მოთხოვნაზე მოწოდებული ინფორ-მაციის გათვალისწინებით. სახელდობრ, ამ სასამართლოსთან გასაგზავნ ახალ განცხა-

დებამი აღარ მოხვდა ის პუნქტები, რომელთა მიმართებითაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სასამართლოს არასდროს მიუღია მსგავსი შინაარსის აქტი. დარჩა ის პუნქტები, რომელთა შესაბამისი აქტები სასამართლოს არ მოუწოდებია, აგრეთვე განმეორდა ის მოთხოვნები, რომლებიც დაკმაყოფილდა, თუმცა სპეციფიკური დათქმით - სასამართლოს მოწოდებინა ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დათარვის გარეშე.

2024 წლის 23 იანვრის მოთხოვნებზე მიღებული პასუხებით უნდა შეფასებულიყო თუ რამდენად დაეცემდებარა პრაქტიკაში აღსრულებას ახალი ნორმატიული მონესრიგება⁷⁰ და რამდენად იცავენ საერთო სასამართლოები კანონის მოთხოვნას.

2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლომ გამოაგზავნა შუალედური პასუხი, რომლითაც გვაცნობა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის კანონით დადგენილი, არაუგვიანეს 10 დღისა, მოგვეწოდებოდა მოთხოვნილი აქტები, თუმცა შუალედური პასუხის შემდგომ, ინფორმაცია აღარ მოუწოდებია. IDFI-ს განმეორებით გაგზავნილ მოთხოვნებზე არც ერთ სასამართლოს არ მოუწოდებია პასუხი. საერთო სასამართლოებმა უპასუხოდ დატოვეს ჩვენ მიერ გაგზავნილი 36-ვე⁷¹ მოთხოვნა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად კანონმდებლობაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა და საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ნორმატიული პრობლემის მოგვარებისა, პრაქტიკაში ეს ცვლილებები საერთო სასამართლოების მიერ რეალურ აღსრულებას არ ექვემდებარება. ფაქტობრივად, საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების მიღების თვალსაზრისით ნორმატიული საფუძვლის შეცვლას საერთო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების გაცემის პრაქტიკის ცვლილება არ მოჰყოლია. “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3¹ პუნქტის ახალი რედაქციის ძალაში შესვლიდან 2 თვის თავზეც, საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების რეალური ხელმისაწვდომობა კვლავ მნიშვნელოვან სისტემურ გამონწვევად რჩება.

⁷⁰ 2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა “საერთო სასამართლოების” შესახებ კანონის მე-13 მუხლის 3¹ პუნქტი და მოიხსნა ის ნორმატიული ბარიერი, რაც აბრკოლებდა საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტების მიღებას.

⁷¹ საქართველოში მოქმედ 29-ვე სასამართლოში გაგზავნილი სტანდარტული მოთხოვნები, დამატებით, 7 სასამართლოში გაგზავნილი სპეციფიკური მოთხოვნები.

3. სასამართლო აქტების პროექტიული გამოქვეყნების ნორმატიული მოწესრიგება და არსებული პრაქტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული პრიორიტეტების აღსრულების ფარგლებში, პარლამენტმა მხარი დაუჭირა ცვლილებების შეტანას “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის მიხედვითაც, 2024 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა სასამართლო აქტების პროექტიული გამოქვეყნების ახალი წესი, რომელიც სასამართლო აქტების პროექტიულ გამოქვეყნებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ ითვალისწინებს.⁷²

ამ თავის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილებების პროექტიული გამოქვეყნების ახალი და ცვლილებამდე არსებული მოდელის როგორც ნორმატიული მონესრიგების, ისე პრაქტიკულ დონეზე მისი აღსრულების მიმოხილვა და შეფასება.

3.1. 2024 წლის პირველ იანვრამდე არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტიული გამოქვეყნების წესი და პრაქტიკა

სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მიზნით სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრის შექმნისა და რეესტრში გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა.⁷³ 2017 წლის 8 თებერვლის ცვლილებებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლს დაემატა 3¹ პუნქტი, რომელშიც ჩაიწერა, რომ ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილები მთლიანად უნდა გამოქვეყნებულიყო სასამართლოს ვებგვერდზე.⁷⁴

⁷² იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 13 ივნისი, 2023.

⁷³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილების “საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ” მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷⁴ “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონი, 08/02/2017, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/loiO1> წვდომის თარიღი: 21.02.2024.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაშიც აისახა.⁷⁵ ხოლო, 2019 წელს, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაზრდისა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, ვებგვერდი ecd.court.ge შეიქმნა⁷⁶ და ამ პერიოდიდანვე დაიწყო ელექტრონულ პორტალზე გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნება პერსონალური მონაცემების დაშტრიხვით.

იმ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების გარდა, სასამართლოების საქმისწარმოების სისტემის ვებგვერდზე (ecd.court.ge) არსებულ გადაწყვეტილებების ერთიან ბაზას ეტაპობრივად უნდა დამატებოდა წინა წლებში მიღებული გადაწყვეტილებებიც,⁷⁷ თუმცა ვებგვერდის საძიებო სისტემაში 2018 წლის 1-ელ იანვრამდე მიღებული გადაწყვეტილებები არ იძებნება.

2020 წლის 1-ლი მაისიდან ელექტრონულ პლატფორმა ecd.court.ge-ზე გადაწყვეტილებების დაშტრიხული ტექსტების გამოქვეყნება სრულად შეწყდა.⁷⁸ დღეისათვის არსებული მოცემულობით, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია მხოლოდ 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით მიღებული საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები.⁷⁹

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველი მაისის შემდეგ, საერთო სასამართლოების სისტემიდან მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს საკუთარი გადაწყვეტილებების დეპერსონალიზებული ტექსტების პროაქტიულ ხელმისაწვდომობას მისივე ელექტრონულ პლატფორმაზე: supremecourt.ge.⁸⁰ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ვებგვერდ ecd.court.ge-ის შექმნამდე და სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკის დანერგვამდეც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემაჯამებელი სასამართლო აქტები წლების განმავლობაში ქვეყნდებ-

⁷⁵ იხ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბერის №537 დადგენილება ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

⁷⁶ იხ. სიახლე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, „დღეიდან მომხმარებელს საშუალება აქვს სასამართლო გადაწყვეტილებებს ახალ ვებგვერდზე გაეცნოს“, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/agAE1>, წვდომის თარიღი: 21.02.2024.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ სასამართლოების საქმისწარმოების სისტემის ვებგვერდის - ecd.court.ge გადაწყვეტილებების საძიებო ველი 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ აქვე უნდა განიმარტოს, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზანს არ წარმოადგენდა შეფასებინა, თუ რამდენად სრულყოფილად აქვეყნებს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ ანგარიშის მიზნებისთვის, გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ფაქტზე მითითება, არ გულისხმობს იმის შეფასებას, ქვეყნდება თუ არა სრულყოფილად უზენაესი სასამართლოს მიერ თავის ვებგვერდზე გადაწყვეტილებები.

ბოდა პროაქტიულად სასამართლოს ელექტრონულ პლატფორმაზე.

ecd.court.ge-ზე გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის შეწყვეტა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით⁸¹ არაკონსტიტუციურად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ცალკეული მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას. საქართველოს პარლამენტს 2020 წლის 1-ელ მაისამდე ჰქონდა დრო საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილებისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად შეეტანა კანონმდებლობაში ცვლილებები, თუმცა ვადა უშედეგოდ ამოიწურა, ხოლო ვებგვერდზე გადაწყვეტილებების გამოქვეყნება საერთოდ შეწყდა.

3.1.1. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მახეგუდიხებელი კანონქვემდებარე აქტები

2024 წლის 01 იანვრამდე, გადაწყვეტილებების გამოქვეყნების თვალსაზრისით მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების მიღმა, საკითხი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებითა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით,⁸² წესრიგდებოდა.

ზემოთხსენებული ორივე კანონქვემდებარე აქტი თავად იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიანოდა IDFI-ს, 2023 წლის 15 თებერვლის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად, რომლითაც ორგანიზაციამ საბჭოსგან გამოითხოვა ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც გადაწყვეტილებების პროაქტიულ გამოქვეყნებას აწესრიგებდა.⁸³ არსებული ინფორმაციით, საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №1/250 გადაწყვეტილება და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 7 მარტის №17 ბრძანება ჯერ ისევ მოქმედებს სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების

⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/lmqI0>, წვდომის თარიღი: 21.02.2024.

⁸² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №1/250 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“; სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 7 მარტის №17 ბრძანება „საერთო სასამართლოებში, საქმის წარმოების ელექტრონული საძიებო სისტემის შექმნისათვის აუცილებელი პროგრამული მოდულების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.

⁸³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 22 თებერვლის წერილი ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს.

ნაწილში (სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა 2024 წლის პირველი იანვრიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით ხდება).⁸⁴

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მიზნით სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრის შექმნა საბჭოს გადაწყვეტილებით დადგინდა.⁸⁵ რეესტრში უნდა განთავსებულიყო რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები.⁸⁶ რეესტრის ვებგვერდის მართვასა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად კი განისაზღვრა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.⁸⁷

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოს გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეესტრში გადაწყვეტილებების განთავსების ვადად განსაზღვრულია 1 თვე იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ.⁸⁸ აღნიშნული წესი ითვალისწინებს გადაწყვეტილებების გონივრულ ვადაში გამოქვეყნებას (მათი კანონიერ ძალაში შესვლის მიუხედავად), რაც თანხვედრაში იყო 2024 წლის 1-ელ იანვრამდე არსებულ “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3¹ პუნქტთან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულია სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის, მონაცემები, რომლებიც რეესტრში განთავსებული სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტში არ უნდა მოხვდეს. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებები იმ მონაცემების გარეშე უნდა ქვეყნდებოდეს, რომლებიც პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.⁸⁹

⁸⁴ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” 2024 წლის 23 იანვარის განცხადება FOI01/24-056 იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. განცხადებით IDFI-მ მოითხოვა სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და პროცედურის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა.

⁸⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილების “საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ” მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸⁶ იქვე, მე-2 პუნქტი.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ იქვე, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁸⁹ იქვე, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის “დ” ქვეპუნქტი.

3.1.2. IDFI-ს ადმინისტრაციული დავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს საერთო სასამართლოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ვებგვერდზე სასამართლოს აქტების გამოქვეყნება საბჭოს ადმინისტრაციული საქმიანობის ფარგლებში ექცევა, თუმცა ის ამ ვალდებულებას 2020 წლის პირველი მაისიდან არ ასრულებს.

2023 წლის აპრილში, IDFI-მ საბჭოს მიმართა განცხადებით⁹⁰ და მოითხოვა გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების განახლება, თუმცა მოთხოვნა საბჭოს რეაგირების გარეშე დარჩა, ორგანიზაციას განცხადებაზე პასუხიც არ მიუღია. IDFI-მ ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საბჭოს უმოქმედობა,⁹¹ მაგრამ IDFI-ს არც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შესახებ მიუღია რაიმე ცნობა. 2023 წლის აგვისტოში, ორგანიზაციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საბჭოსთვის სასამართლოს აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების განახლების დავალება, ასევე, 2020 წლის პირველი მაისიდან გამოუქვეყნებელი აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფა. სარჩელი წარმოებაში მიღებულია, თუმცა სასამართლო სხდომა 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით ჩანიშნული არ არის.

3.2. პროაქტიული გამოქვეყნების ახალი წესი და პრაქტიკაში მისი აღსრულება

2023 წლის ივნისში მიღებული საკანონდებლო ცვლილებებით, რომელიც 2024 წლის 1-ელ იანვარს ამოქმედდა, განსხვავებულად წესრიგდება სასამართლო აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხები. კერძოდ, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აქტები ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს დეპერსონალიზებული სახით.

კანონმდებლობის თანახმად, დეპერსონალიზაციაში იგულისხმება მასში მითითებული

⁹⁰ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” 2023 წლის 21 აპრილის N20230409 განცხადება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

⁹¹ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” 2023 წლის 21 ივნისის CPT20I30409 ადმინისტრაციული საჩივარი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

შემდეგი ინფორმაციის სრული დეპერსონალიზაცია: ა) პირის ვინაობა, სახელწოდება, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საიდენტიფიკაციო ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, სამუშაო ადგილისა და დაკავებული თანამდებობის სახელწოდებები; ბ) პირის რეგისტრაციის ადგილის, ადგილსამყოფლის, საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მისამართები; გ) პირის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.⁹² ამასთან, ორგანული კანონით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა უფლებამოსილება განსაზღვროს და შემოთხსენებულ ჩამონათვალს დაამატოს სხვა სახის ისეთი ინფორმაცია, რომელიც პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება.⁹³ IDFI-მ ორჯერ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საჯარო ინფორმაციის განცხადებით და გამოითხოვა სამართლებრივი აქტი, რომლითაც “სხვა სახის ინფორმაცია” უნდა განსაზღვრულიყო, თუმცა მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.⁹⁴

კანონმდებლობაში შევიდა დადებითი ცვლილებები, მათ შორის, დაწესდა არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების, არამედ ზოგადად სასამართლო აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება,⁹⁵ რაც ღიაობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ცვლილებებით გაჩნდა ახალი გამოწვევა, პროაქტიულად სასამართლო აქტების დეპერსონიზებული ფორმით დროული გამოქვეყნების თვალსაზრისით. კერძოდ, სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნებაც მხოლოდ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ მოხდება (საქმის საბოლოო გადაწყვეტას რამდენიმე წელიწადი შეიძლება დასჭირდეს), რაც ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა. 2024 წლამდე მოქმედი რეგულირებით სასამართლოს გადაწყვეტილებების ვებგვერდზე განთავსება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გაგზავნიდან 1 თვის ვადაში უნდა მომხდარიყო.

ახალი რეგულირების ამოქმედებიდან 2 თვის გასვლის მიუხედავად, სასამართლოების საქმისწარმოების სისტემის ვებგვერდზე - ecd.court.ge სასამართლო აქტების გამოქვეყნება არ განახლებულა და საძიებო სისტემაში განთავსებული უახლესი სასამართლო აქტი კვლავ 2020 წლის 30 აპრილით თარიღდება.

⁹² “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3¹ პუნქტი.

⁹³ იქვე, “დ” ქვეპუნქტი.

⁹⁴ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” 2023 წლის 05 ოქტომბრის FOI023-006 განცხადება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” 2024 წლის 23 იანვრის FOI01/24-056 განცხადება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

⁹⁵ “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3¹ პუნქტის მიხედვით, სასამართლო აქტი არის საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.

4. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო და პრაქტიკული საკანძო გამოწვევების შემაჯამებელი სამართლებრივი შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაზე სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული შინაარსობრივი /მატერიალური საკითხები იყო სამართლებრივი მსჯელობის საგანი, თუმცა, არ არსებობდა მსჯელობის შედეგად იდენტიფიცირებული სხვადასხვა შინაარსობრივი გადაწყვეტის კონსტიტუციური სამართლებრივი მართლმომიერების შეფასების ცხადი ინდიკატორები. ეს ინდიკატორები გაჩნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებით - კონსტიტუციური სტანდარტების სახით.

აქედან გამომდინარე, ანგარიშის ამ ნაწილში ჩვენ მოვლედ შევაფასებთ სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის საკვანძო გამონვევებს ამ საკითხზე კონსტიტუციური სტანდარტების განმარტების (2019 წლის 7 ივნისის) შემდგომ. საკვანძო გამონვევებზე მსჯელობა უნდა დავიწყოთ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გადავადების მიზეზების განმარტებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შესაძლებელია, შეიზღუდოს მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად,⁹⁶ მათ შორის, მაშინ, როდესაც “დასახელებულ აქტებში მოცემულია პირის შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომლის გავრცელებაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს პირადი ცხოვრების უფლებაზე და მისი კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესი გადაწონის სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესს.”⁹⁷ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების სადავო ნორმების გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში აღარ იარსებებდა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სასამართლოს აქტების საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, რის გამოც, შესაძლებელია, დარღვეულიყო ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება.⁹⁸

სხვაგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო, გაუქმებული ნორმების გარეშე არ

⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-69.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ იქვე.

იძლეოდა ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის შესაძლებლობას, მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესი გადაწონიდა სასამართლოს აქტის ღიაობის მომეტებულ ინტერესს.

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა დაახლოებით 1 წლიანი ვადა (2019 წლის 7 ივნისიდან 2020 წლის 1 მაისამდე),⁹⁹ რა დროშიც საქართველოს პარლამენტს შეეძლო მიეღო შემცვლელი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას საგამონაკლისო შემთხვევებში, კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად, პრიორიტეტი მიენიჭებინა ადამიანის პირადი ცხოვრებისთვის. ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ გადაუვადებია სასამართლო აქტის ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პარლამენტი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანოს და ამ თვალსაზრისით კანონშემოქმედებითობა არის პოლიტიკური საქმიანობა. საქართველოს პარლამენტის ან მისი რომელიმე წევრის მიერ, საპარლამენტო მანდატის განხორციელების ფარგლებში, მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვს შესაბამისი პოლიტიკური ან/და სამართლებრივი შედეგები, თუმცა ხელისუფლების დანაწილების პრინციპებთან შეუთავსებელია სასამართლომ საქართველოს პარლამენტს დაავალოს რომელიმე კანონის მიღება.

საქართველოს პარლამენტმა წლების განმავლობაში არ მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად ცნობილი ნორმების ალტერნატივა და ბუნებრივია, ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც სამართლებრივ ლოგიკით შეფასებას არ ექვემდებარება, თუმცა კონსტიტუციური წესრიგი მსგავს შემთხვევებს ითვალისწინებს და ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებას პოლიტიკურ დღის წესრიგს არ უქვემდებარებს. კერძოდ, ძირითადი უფლების არსებობა/არ არსებობა საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, როგორც წესი, დამოკიდებული არ არის. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, “სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.” კონსტიტუციის ძირითადი დებულებების ეს ჩანაწერი ერთი მხრივ მიუთითებს, ადამიანის ძირითადი უფლებების ბუნებით სამართლებრივ კონცეფციაზე, მეორე მხრივ, კი ადგენს კონსტიტუციური უფლებების პირდაპირი მოქმედების ძალას. “ის გარემოება, რომ ესა თუ ის კონსტიტუციური უფლება შესაბამისი ქვემდგომი ნორმატიული აქტებით შეიძლება არ იყოს დეტალურად რეგლამენტირებული, ვერ გახდება პირის კონსტიტუციური უფლებით

⁹⁹ იქვე. პარ. II-70.

სარგებლობაზე უარის თქმის საფუძველი. ადამიანის უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის დოქტრინა არ არის საქართველოს კონსტიტუციის ნოვაცია. ეს კონსტიტუციური ნორმა-პრინციპი ძირითად უფლებათა ბუნებითი სამართლის კონცეფციიდან და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს.”¹⁰⁰

საერთო სასამართლოს აქტის საჯარო ინფორმაციის სახით მიღების უფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით აღიარებულ ძირითად უფლებას, ხოლო ადამიანის პირადი ცხოვრება დაცული ძირითადი კანონის მე-15 მუხლით. ამდენად, საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიუღებლობის მიუხედავად საჯარო დაწესებულებები, მოცემულ შემთხვევაში, საერთო სასამართლოები, ვალდებულები იყვნენ შეესრულებინათ საქართველოს კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. უფრო კონკრეტულად, საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი ვადაში, რაიმე ტიპის საკანონმდებლო ცვლილების განუხორციელებლობა არ ათავისუფლებდა საერთო სასამართლოებს კანონმდებლობის მოქმედი მოთხოვნების შესრულებისგან.

მოცემულ შემთხვევაში, საერთო სასამართლოებს უნდა ემოქმედათ საქართველოს კონსტიტუციის, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად და საჯარო ინფორმაციის სახით გაეცათ სასამართლოს აქტები. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით, მათ უნდა უზრუნველყოთ პირადი ცხოვრების დაცვა საჭიროების შემთხვევაში.

წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ 2020 წლის პირველი მაისიდან 2024 წლის პირველ იანვრამდე, პერიოდში სასამართლოს აქტების ხელმიუწვდომლობა იყო მართლმსაჯულების ადმინისტრირების კრიტიკული ჩავარდნა, რამაც არსებითად დააზიანა მართლმსაჯულების გამჭვირვალობის კონსტიტუციური ინტერესები. 2024 წლის პირველი იანვრის შემდგომ, აღნიშნული პრაქტიკის შენარჩუნება კი საქართველოს კონსტიტუციის და საკანონმდებლო წესრიგის სრულ უგულებელყოფად შეიძლება შეფასდეს.

ცალკე უნდა შეფასდეს სასამართლოს აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების შეწყვეტა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარაგრაფში განვითარებული მსჯელობა საერთოდ არ შეეხება, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს საკუთარი გადაწყვეტილებების ვებგვერდზე გამოქვეყნება არ შეუწყვეტია.

¹⁰⁰ გ. დავითური, გ. დავითაშვილი, რედაქტორი თ. ტულუში, საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021, გვ. 72, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/clAKQ>, წვდომის თარიღი: 26.02.2024.

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა მიერ საკუთარი გადაწყვეტილებების ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაშტრიხვით, განთავსების შეწყვეტა იყო “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის აშკარა, განგრძობადი დარღვევა, რომელიც საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (2024 წლის 29 თებერვლამდე) გაგრძელდა. უფრო კონკრეტულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმებული სადავო ნორმები საერთოდ არ არეგულირებდა მართლმსაჯულების აქტების პროაქტიულად გამოქვეყნებას.

სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის ფორმით ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო ჩარჩო, საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 13 ივნისს განხორციელებული და 2024 წლის 01 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებებით, არსებითად გაუმჯობესდა.

კვლავაც გამოწვევად რჩება ნორმატიულ დონეზე სასამართლო აქტებზე დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ვინაიდან განახლებული საკანონმდებლო ჩარჩო, როგორც საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის, ასევე პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისით, სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის წინაპირობად აქტების კანონიერ ძალაში შესვლას ადგენს.

განახლებული საკანონმდებლო ჩარჩოს პრაქტიკაში აღსრულების კუთხით განხორციელებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით საერთო სასამართლოები და იუსტიციის უმაღლესი საბჭო უკულებელყოფენ კონსტიტუციურ და საკანონმდებლო წესრიგს. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების მიუხედავად, IDFI-ს მიერ თითოეულ სასამართლოში გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა ყველა სასამართლომ. ამასთან, სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნება არ განახლებულა 2020 წლის 01 მაისიდან. გამონაკლისს წარმოადგენს უზენაესი სასამართლო, რომელსაც არ შეუწყვეტია თავის ვებგვერდზე გადანაცვებილების გამოქვეყნება.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით კვლავაც უზრუნველსაყოფია სასამართლო აქტების დროული ხელმისაწვდომობა. ამასთან, საერთო სასამართლოებმა და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეწყვიტონ კონსტიტუციის და ორგანული კანონის მოთხოვნების სისტემური დარღვევა და უზრუნველყონ როგორც სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა, ასევე ვებგვერდზე 2020 წლის პირველი მაისის შემდგომ მიღებული სასამართლო აქტების განთავსება.

საანგარიშო პერიოდის შედეგოზე განვითარებული მოვლენები: 1-26 მარტი, 2024

ანგარიშში მითითებულია, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები საქართველოში მოქმედ ყველა სასამართლოს გაეგზავნა 2024 წლის 23 იანვარს და საერთო სასამართლოებმა უპასუხოდ დატოვეს IDFI-ს მიერ გაგზავნილი ყველა მოთხოვნა. 2024 წლის 4 მარტს IDFI-მ უპასუხოდ დატოვებული განცხადებები ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა.

ადმინისტრაციული საჩივრების შეტანის შემდგომ, რამდენიმე სასამართლომ IDFI-ს მიაწოდა სასამართლო აქტები. 2024 წლის 26 მარტის მდგომარეობით, ეს სასამართლოებია: ზუგდიდის, სენაკის, თეთრიწყაროს, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოები, აგრეთვე ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოები. ამ ეტაპზე IDFI-ს არ შეუფასებია, რამდენად არის დაცული კანონმდებლობის მატერიალური მოთხოვნები სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



ბ. შავჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო



INFO@IDFI.GE



+ 995 32 292 15 14



WWW.IDFI.GE